ოქმი:**ო31. 3124228001**
თარიღი:**15/08/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N10

ქ. ლანჩხუთი

13. 08. 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე,

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** პირველ რიგში მიულოცა ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებს მიღწეული წარმატებები. ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა, პარიზის ოლიმპიადაზე შვიდი მედლის მოპოვება უდიდესი წარმატებაა. ქართველ სპორტსმენებს უსურვა შემდგომი წინსვლა და გამარჯვება. ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნა მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები. წარმოდგენილ საკითხზე მომხსენებელი იქნება მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** შეუერთდა საკრებულოს თავმჯდომარის მილოცვას და აღნიშნა, რომ ქართველ სპორტსმენების მიერ პარიზის ოლიმპიადაზე მიღწეული შედეგებები ასეთი პატარა ქვეყნისთვის უდიდესი წარმატება და სახელია. უსურვა მათ შემდგომი გამარჯვებები, რათა კვლავაც ბევრჯერ ასახელონ საქართველო. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერმა სხდომას გააცნო ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას შემოუერთდნენ საკრებულოს წევრები ელისო ჭიჭინძე და სპარტაკ კვაჭაძე.

მუნიციპალიტეტის მერის განმრტებით, საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 29 ივლისის N1060 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით შესული ცვლილებებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოეყო 1050000 ლარი, თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 319226 ლარი - სულ 1369226 ლარი, რომლიდანაც ქ.ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგებაშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის, (პირველი ეტაპი) რ.ებრალიძის, საფო მგელაძის, ჩაჩავასა და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაციაზე მიიმართოს 242659 ლარი, აქედან რეგ.ფონდიდან 230526 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12133 ლარი, ჩოჩხათი-არჩეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე 206567 ლარი, აქედან რეგ.ფონდიდან 196239 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 10328 ლარი, ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის რეაბილიტაციაზე 250000 ლარი, აქედან რეგ.ფონდიდან 237500 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 125000 ლარი. სუფსისა და მოედანი-შრომისუბნის გზის რეაბილიტაციაზე 250000 ლარი, აქედან რეგ.ფონდიდან 237500 ლარი, ადგილლობრივი ბიუჯეტიდან 12500 ლარი. მინი სტადიონების (გვიმბალაური, ნინოშვილის და აცანის) მშენებლობაზე 420000 ლარი, აქედან რეგ.ფონდიდან 148235 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 271765 ლარი.

საფინანსო წლის განვლილ პერიოდში სოციალური პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ანალიზისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის წინადადების გათვალისწინები, „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის დაფინანსების 6300 ლარით, „ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის“ 3000 ლარით და „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების“ პროგრამის დაფინანსების 2000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგარმის“ დაფინანსება 11000 ლარით, 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვების და შშმ ბავშვების, რომელიც არის ობოლი, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა“ 300 ლარით;

„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირყვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამის დაფინანსება გაიზარდოს 15000 ლარით. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, რადგან პროგრამულად სახელმწიფო ყველა სიტუაციას ვერ აფინანსებს, აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი პროგრამის ფარგლებში მაქსიმალურად უზრუნველყოფს ბენეფიციარების მომსახურებას. ამასთან, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ გამოთქვა ინიციატივა, დააორგანიზოს შეხვედრა „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ ხელმძღვანელობასთან, რაც ძალიან კარგი იქნება.

„ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირების პროგრამის“ დაფინანსება გაიზარდოს 8000 ლარით; „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა გაიზარდოს 62000 ლარით.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლის დაფინანსება შემცირდეს 233000 ლრით და განისაზღვროს 167000 ლარით.

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია ექსპლოატაციის ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 80000 ლარით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 150000 ლარით.

სოფელ ორაგვეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 50000 ლარით (ელ.გადამცემი ხაზის საჰაერო ნაწილის მიწისქვეშ განთავსება).

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდოს 170000 ლარით. (საწვავი 105000 ლარი). წყლის სისტემის ექსპლოატაცია 50000 ლარი.

შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ის სუბსიდირებით დაფინანსება გაიზარდოს 150000 ლარით.

ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლის“ დაფინანსება გაიზარდოს 28200 ლარით.

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დაფინანსება გაიზარდოს 30000 ლარით. (ოფისის კაპიტალური რემონტი).

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსება გაიზარდოს 37000 ლარით.

მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურების მუხლი გაზიარდოს 25000 ლარით.

დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში მერიის შრომის ანაზღაურების მუხლის 10000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოც:უზრუნველყოფის მუხლი 10000 ლარით.

ა(ა)იპ ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის“ შრომის ანაზღაურების მუხლის 10000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოც:უზრუნველყოფის მუხლი 10000 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 145000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 145000 ლარით.

ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა 941426 ლარით. მათ შორის: სხვა შემოსავლები - 320000 ლარით. აქედან, პროცენტები - 120000 ლარით, წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 200000 ლარით, არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან შემოსავლის გეგმა გაიზარდოს 621426 ლარით.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განცხადებით, ამ ეტაპისთვის მუნიცი-პალიტეტის ბიუჯეტის შესრულება მიმდინარეობს სტაბილურად და მისი ზრდა ხდება შესაძლებელი ხარჯების გათვალისწინებით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ჯიხეთის გზასთან მიმართებაში და ხომ არ მიუღიათ გადაწყვეტილება გეოლოგიურ შემოწმებასთან დაკავშირებით, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ სტიქიასთან დაკავშირებით დაახლოებით 24 მლნ. ლარის ღირებულების პროექტებზე უკვე გამოცხადდა ტენდერები. ასევე, მიღებულია გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტისთვის დამატებით, 8 მლნ. ლარის გამოყოფის თაობაზე. რამდენიმე პროექტთან დაკავშირებით, მათ შორისაა ჯიხეთის გზა, კონკრეტულ სიტუაციაში ადგილობრივი ძალებით ვერ შეძლეს პროექტის მომზადება. საერთო ჯამში, 22 ობიექტთან დაკავშირებით გამოცხადდება ტენდერი პროექტირებაზე, სადაც მოწვეული იქნებიან როგორც ექსპერტები, ასევე გეოლოგები, რათა ძირეულად მოხდეს სიტუაციის შესწავლა.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციული ერთეულიდან ხდება ინერტული მასალის გატანა, რაც გარკვეულ დისკომფორტს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთა თხოვნაა, რომ შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, მაქსიმალურად მოხდეს სოფელში ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება, როგორიცაა შიდა გზები და სოფელ ჭინათში მინი სტადიონის მოწყობა, რისი

გათვალისწინებაც ვერ მოხერხდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ პირადად მონაწილეობა არ მიუღია მოსახლეობასა და კომპანიას შორის გამართულ მოლაპარაკებაში, სადაც მოხდა გარკვეული შეთანხმება, რის შედეგად, კომპანიამ უზრუნველყო შიდა გზის გარკვეული მონაკვეთის დაგება. ასევე, სოფელ ჭინათში, როგორც კი დასრულდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, კომპანია კეთილმოაწყობს დაახლოებით 1 კმ. სიგრძის გზის მონაკვეთს. მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის კუთხით ბევრი პრობლემაა, მაგრამ ცდილობენ მაქსიმალური გაკეთდეს ადგილობრივი ბიუჯეტის რესურსის გათვალისწინებით, რომელსაც ასევე, ძალიან ეხმარება ცენტრალური ხელისუფლება. მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მხარი დაუჭირა ამ სიტუაციაში, რადგან 32 მლნ. ლარის გამოყოფა სტიქიასთან დაკავშირებით ნამდვილად არ არის ცუდი შედეგი, რაც მუნიციპალიტეტში ამ ეტაპისთვის არსებულ პრობლემებს და გამოწვევებს გარკვეულ წილად აღმოფხვრის. გარდა ამისა, რეგ. განვითარების ფონდს აქვს მონახაზი სოფლებში გზებთან დაკავშირებით, ჩამოსულია კომპანია, რომელსაც დაწყებული აქვს პროექტირება. ასევე, ჯურუყვეთის გზასთან დაკავშირებით, რომელიც ერთ-ერთი ცენტრალურია, უახლოეს მომავალში გამოცხადდება ტენდერი. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში მოწესრიგდება როგორც კიროვის, ასევე, კორეის უბანთან დამაკავშირებელი გზა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, **ემზარ თევდორაძის** განცხადებით, ასეთი ოდენობის თანხა სახელმწიფოს მიერ არც ერთი მუნიციპალიტეტისთვის არ გამოყოფილა, რაც განსაკუთრებული დამსახურებაა როგორც მუნიციპალიტეტის მერიის, ასევე, პირადად, მერის, რადგან დროულად და ოპერატიულად მოხდა პროექტების მომზადება სწორად დაგეგმვისა და საჭიროების გათვალისწინების მიხედვით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე** შეუერთდა კოლეგის პათოსს და აღნიშნა, რომ ეს ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია. ასევე, ამ მიმართულებით აღსანიშნავია, საკრებულოს თავმჯდომარის როლი და დამსახურება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი.
მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N11 (13.08.2024).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

13 აგვისტო **2024** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 55.	
2	ემზარ თევდორაძე	12 00	
3	ვერიკო კვირკველია	12 53	
4	გიორგი ჩახვაძე	11 50	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 46	
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი		
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა		
12	მაკა მშვიდობაძე		
13	ვლადიმერ ნანაძე	11 43	
14	კარლო წილოსანი	მივიდა	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 50	
16	ნინო მშვიდობაძე	11.55	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11 - 57	
19	გიორგი გოგუაძე		
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე	11	
22	რევაზ კვერენჩხილაძე		
23	კახა თედორაძე	11 55.	

24	დარეჯან ბურჭულაძე	1135	
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე		